ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №1411779

ნომერი: AR1201118

თარიღი : 14.03.2014

გაცემის თარიღი : 29.07.2014

გაცნობის თარიღი : 30.07.2014

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , თამარაშვილის ქუჩა N13 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- გიორგი კვერნაძე პ/ნ 01006006543
- თბილისი დიღმის მას. IV კვ. კორ. 12 ბ. 56

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- ახალი მშენებლობა
- სტადიები:
  - პროექტის შეთანხმება
  - მშენებლობის ნებართვა

.არსებობის შემთხვევაში სამსახურის მიერ შეთანხმებული განაშენიანების რეგულირების გეგმის (გრგ) რეკვიზიტები.:

- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების ნომერი.: 1160887
- .შეთანხმებული პროექტის ბრძანების თარიღი.: 12.03.2014

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: დავით ლეჟავა

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს დაფის არქიტექტურა
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 200276744

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შპს "დომუსი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 404908864
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: გიორგი კვერნაძე
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01006006543

.ტექნიკურ - ეკონომიკური მაჩვენებლები (მეათედების სიზუსტით).:

- .მიწის ნაკვეთის ფართობი (კვ.მ).: 8400.0
- .განაშენიანების ფართობი (კვ.მ).: 4223.1
- .საერთო ფართობი (კვ.მ).: 37633.0
- .საცხოვრებელი ფართობი (კვ.მ).: 21322.0
- .კომერციული ფართობი (კვ.მ).: 1842.0
- .საზაფხულო ფართობი (კვ.მ).: 4818.0
- .ავტოსადგომის ფართობი (კვ.მ).: 8190.0
- .აუზის ფართობი (კვ.მ).: 1461.0
- .სამშენებლო მოცულობა (კუბ.მ).: 141930.76
- .0.00 ნიშნულის ზევით (კუბ.მ).: 114058.3
- .0.00 ნიშნულის ქვევით (კუბ.მ).: 27872.46
- .შენობა-ნაგებობის კონსტრუქციული სიმაღლე (მ).: 137930.76
- .0.00 ნიშნულის ზევით (მ).: 110058.3
- .0.00 ნიშნულის ქვევით (მ).: 27872.46
- .კ1 განაშენიანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 2817/0,33
- .კ2 განაშენიანების ინტენსივობის კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 33350.3/4
- .კ3 გამწვანების კოეფიციენტის საანგარიშო ფართობი (კვ.მ და ასახული კოეფიციენტში). : 3400/0,4

ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 03.14.2014 №AR1201118 განცხადებით მომართამოქ. გიორგი კვერნაძემ და მოითხოვა ქ. თბილისში, სექტორი - ვაკე, თამარაშვილის ქუჩა N13–ში, შპს "დომუსი"–ს კუთვნილ მიწის ნაკვეთზე (საკ. კოდი 01.10.16.004.188) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის შეთანხმება და მშენებლობის ნებართვის გაცემა.

თანახმად საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების და საქართველოს მთავრობის 24.03.09 წლის №57 დადგენილებისა, ასევე ქ. თბილისის საკრებულოს 27.03.09 წლის №4-13 გადაწყვეტილებით დამტკიცებული „ქ. თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების“ გათვალისწინებით, 30.05.2014 წ. სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურმა გამოსცა №1298888 ბრძანება, რომლითაც შეთანხმდა არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა. დამკვეთის მხრიდან დოკუმენტაციის ნაწილის წარმოუდგენლობასთან დაკავშირებით, თანახმად საქართველოს მთავრობის 24.03.09 წლის №57 დადგენილებისა, 30.05.2014 წ. №1298888 ბრძანების მე-4 პუნქტით დამკვეთს დაევალა: ბრძანების ოფიციალური წესით გაცნობიდან 2 (ორი) თვის ვადაში ქ. თბილისის მერიის სსიპ თბილისის არქიტექტურის სამსახურში წარადგინა განახლებული ხაზობრივი ნაგებობებისგან თავისუფალი საპროექტო ტერიტორიის საკადასტრო გეგმა. წინააღმდეგ შემთხვევაში, ბრძანება ცნობილ იქნებოდა ძალადაკარგულად. ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურს 03.14.2014 №AR1201118 განცხადებით მომართა მოქ. გიორგი კვერნაძემ დაწარმოადგინა განახლებული საკადასტრო გეგმა. წარმოდგენილი დოკუმენტიდან ირკვევა, რომ მოქ. გიორგი კვერნაძემ ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის მითითება შეასრულა დროულად და სრულად. წარმოდგენილი დოკუმენტაცია აკმაყოფილებს საქართველოს მთავრობის 24.03.09 წლის №57 დადგენილებით განსაზღვრულ მოთხოვნებს და უნდა დაერთოს სამშენებლო დოკუმენტს.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

ვბრძანებ

1. შესრულებულად ჩაეთვალოს მოქ. გიორგი კვერნაძეს ქ. თბილისის მერიის სსიპ – ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 30.05.2014 წ №1298888 ბრძანების მე-4 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნა.
2. 03.14.2014 წ AR1201118 განცხადებით წარმოდგენილი დოკუმენტაცია არის სამშენებლო დოკუმენტის განუყოფელი ნაწილი და განხილულ იქნას მასთან ერთად.
3. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის სსიპ - ქ. თბილისის არქიტექტურის სამსახურის 30.05.2014 წ №1298888 ბრძანებასთან ერთად.
4. აღნიშნულის შესახებ ეცნობოს დამკვეთს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

• აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.
• ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მერიაში (მისამართი - ქალაქი თბილისი, ჟ. შარტავას ქ. #7), დაინტერესებულ მხარეთათვის ოფიციალური წესით გაცნობიდან ან გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.